**წინამდებარე მითითებები მნიშვნელოვან ინფორმაციას გაწვდით თქვენს SIGVARIS კომპრესიულ წინდებზე.**

**სამედიცინო კომპრესიული წინდების ეფექტი**
კომპრესიული თერაპია ქმნის ვენოზური დაავადებების, ლიმფედემის და ცხიმოვანი შეშუპების მკურნალობის საფუძველს. ქსოვილზე ყურადღებით კონრტროლირებადი წნევა აუმჯობესებს სისხლის უკუქცევას ფეხებში და ზრდის ლიმფის ნაკადს. ამავე დროს, აუმჯობესებს მიკროცირკულაციას და, შესაბამისად, ქსოვილებისათვის მიწოდებას. კომპრესიის შედეგები მრავალგვარია და მოიცავს შეშუპების შემცირებას, ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას (ვენოზური წყლულები) და ვარიკოზულ ვენებთან და ვენოზური წარმოშობის კანის ცვლილებებთან დაკავშირებული ჩივილების შემცირებას. ყოვლისმომცველი დამატებითი ინფორმაცია იხ. SIGVARIS მთავარ გვერდზე: www.sigvaris.com

**ინსტრუქცია**
ბასრი ბრჩხილები და ბეჭდები უმალ გამოიწვევს დეფექტებს. ამდენად, **მუდამ გაიკეთეთ სპეციალური ხელთათმანი** წინდის ჩაცმის ან გახდისას. ნუ მოჭრით თავისუფალ ბოლოებს წინდის შიდა მხარეს. შეზღუდეთ კანის მოვლა ღამით გამოყენებისას.

LATEX SIGVARIS TRADITIONAL შეიცავს კატექსს, რომელიც არ შედის კანთან პირდაპირ კონტაქტში. დაიცავით TRADITIONAL მალამოების, ზეთების, საცხების და ჭარბი სიმხურვალისაგან, რათა უზრუნველყოთ მისი ხანგრძლივი ვარგისიანობა. ყველა სხვა მოდელი სრულიად ინერტულია მოცემული პროდუქციის მიმართ.

**როგორ ჩავიცვათ ის (იხ. ფურცლის მეორე მხარე)**
საუკეთესო დროა, როცა დგებით დილით და შესიება დამცხრალია. დარწმუნდით, რომ ფეხები მშრალი გაქვთ. **(სურ. 1-5)**: ამოაცურეთ წინდა ქუსლზე. ნუ მოქაჩავთ, თუმცა, **წინდის გამოყენებისას თანაბრად გაანაწილეთ ქსოვილი ფეხზე**. მუდამ ამოიცვით ქსოვილი ხელისგულით ქვემოდან ზემოთ მუხლისკენ და თანაბრად გაანაწილეთ მთელ სიგრძეზე.

**როგორ გავიხადოთ წინდა (იხ. ფურცლის მეორე მხარე)**
**(სურ. 6/7)**: მოკიდეთ ხელთათმნიანი ხელი წინდის ზედა ბოლოს და ჩაიწიეთ ქუსლის მიმართულებით. ხელისგულით გადაავლეთ ქსოვილი ქუსლს.

**სწორი ზომა**
წვივამდე წინდები ზუსტი ზომისაა, როცა გვერდის ბოლოები 2 თითის ზომითაა დაშორებული მუხლის ჩარღმავებას. მუხლს ზემოთ, ბარძაყის შუამდე და სრული სიგრძის წინდის შემთხვევაში 5 თითის ზომითაა დაშორებული დუნდულებს.

**სწორი მოვლა**
გარეცხეთ წინდა ყოველდღიურად არა უმეტეს 40°C სარეცხ მანქანაში ფრთხილი რეცხვის რეჟიმში. გამოიყენეთ მსუბუქი სარეცხი საშუალება რეცხვისას ქსოვილის დამარბილებლის გარეშე. პროდუქტის რაც შეიძლება ხანგრძლივად ვარგისიანობისათვის რეკომენდებული არაა საშრობის/გამათბობლის გამოყენება (იხ. ეტიკეტი). ნუ დააუთოვებთ ან გაწმენდთ ქიმიურად. შეინახეთ SIGVARIS წინდა ოთახის ტემპერატურაზე მშრალ ადგილას და მოარიდეთ მზის შუქს.

**მნიშვნელოვანი შენიშვნები**
საერთოდ, ექიმის რეკომენდაციით სწორი ზომის გამოყენებისას კომპრესიულ წინდებს არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები. შესუსტებული მგრძნობელობის პაციენტებში წნევის ნიშნულები ან კომპრესიით გამოწვეული შესუსტებული მიმოქცევა შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს. ამდენად, რეკომენდებულია შექმოწმოთ ფეხი მოჭერის ნიშნებზე, შესუსტებული მიმოქცევის ნიშნებზე ან კანის ახალ დაზიანებაზე. აღნიშნულის აღმოჩენის შემთხვევაში წინდა აღარ უნდა ჩაიცვათ. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია მიიღოთ ექიმის კონსულტაცია. სამედიცინო კომპრესიული წინდების ჩაცმა საჭიროებს შემდეგი (სპეციალისტის) სამედიცინო კონსულტაციას. ექიმის მიერ შემდგომი დაკვირვების ვიზიტები მნიშვნელოვანია და აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში. ვარგისიანობის ვადა მოცემულია შეფუთვაზე ქვიშის საათის სიმბოლოს საშუალებით. ვიძლევით მაქსიმალური ეფექტის გარანტიას ჩაცმის 6 თვის განმავლობაში.

**რისკი და გვერდითი მოვლენები**
სამედიცინო კომპრესიულმა წინდებმა შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანებები და შესუსტებული არტერიული მიმპქცევა, კერძოდ, არასწორად გამოყენებისას.

**სრული უკუჩვენება**
მწვავე ათეროსკლეროზი (პროგრესირებადი პერიფერიული არტერიების ოკლუზიური დაავადება). შეშუპება და ხშირი სუნთქვა, რომელსაც ადგილი აქვს დასვენების სროსაც კი (შეგუბებული გულის უკმარისობა). მიკროორგანიზმევის მიერ გამოწვეული სისხლძარღვების ანთება (სეპსისური ფლებიტი). ვენური ტრომბოზის კონკრეტული მწვავე ფორმები (ფლებითური ფლეგმაზია).

**ფარდობითი უკუჩვენება**
კანინს სისველის გამომწვევი დავადებები (დერმატოზები). კომპრესიული წინდის მასალის მიუღებლობა. დაზიანებული ან განადგურებული ნერვით გამოწვეული კიდურის სენსორული აშლილობები (პროგრესული პერიფერიული ნევროპათია). სახსრის ანთებითი დაავადებები (ნერვული ართრიტი). არტერიული მიმოქცევის დარღვევა. ლიმფედემა ან, სულ მცირე, მე-2 სტადიის ცხიმოვანი შეშუპება.

დაუშვებელია სამედიცინო კომპრესიული წინდების ჩაცმა ღია ჭრილობებზე. ინფორმაციის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა შეზრუდოს პასუხისმგებლობა. გთხოვთ, ასევე გაეცნოთ www.sigvaris.com/instructions.

SIGVARIS



1



2



3



4



5



6



7

To watch video instructions, please visit our website: **www.sigvaris.com/videos**

BL / 1'300'000 / 12.2017 / V1 / 95503


SIGVARIS AG, Gröblistrasse 8, 9014 St.Gallen, Switzerland
Tel. +41 71 272 40 00, certified ISO 9001, EN ISO 13485

SIGVARIS GmbH, Dr.-Karl-Lenz-Strasse 35, 87700 Memmingen, Germany
Tel. +49 8331 757 0

SIGVARIS medizinische Kompressionsstrümpfe m.b.H., Hietzinger Hauptstrasse 22/A/2/5, 130 Wien, Austria
Tel. +43 1 877 69 12

SIGVARIS S.r.l., Via Galileo Galilei 2/2, 31057 Silea (TV), Italy
Tel. +39 800 178486

SIGVARIS SAS, z.I. Sud d'Andrézieux, Rue B. Thimonier - BP 60223,42173 Saint-Just Saint Rambert, France
Tel. +33 4 77 36 08 90, certified ISO 9001

SIGVARIS BRITAIN LTD., 1 Imperial Court, Magellan Close, Andover, SP10 5NT, Great Britain
Phone +44 1264 326 666

SIGVARIS (Australia) Pty. Ltd., 207 Victoria Street, West Melbourne VIC 3003, Australia
Phone 130 SIGVARIS (1300 744 827)

SIGVARIS AG (DMCC Branch), Unit No: AG-05-C, Silver (AG) Tower, Jumeirah Lakes Towers, Dubai – United Arab Emirates
Phone +971 4 558 6265

SIGVARIS INC., 1119 Highway 74 South - Peachtree City, GA 30269/USA
Tel. +1 770 631 1778, certified ISO 9001

SIGVARIS CORP., 4535 Dobrin road, H4R 2L8, Quebec/CDN
Tel. +1 514 336 2362

SIGVARIS DO BRASIL, Av. José Benassi, 2323, Distrito Industrial Fazgran,13213-085-Jundiaí, SP/Brazil
Tel. +55 114525 5700


If you look for further distributors please consult: **www.sigvaris.com**

CE

SIGVARIS is a registered trademark of SIGVARIS AG, St.Gallen/Switzerland, in many countries worldwide.
© 2017 Copyright by SIGVARIS AG, St.Gallen/Switzerland